

საქმე



**გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა**  
საქართველოს სახელით

კერძო არბიტრაჟის არაკომპეტენტურად ცნობის შესახებ

11 მაისი, 2023 წელი

ქ.თბილისი

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემდეგი შემადგენლობა:  
თავმჯდომარე - ანა გოგიშვილი  
მოსამართლეები: გელა ზადრიაშვილი, ეკატერინე ცისკარიძე

განმცხადებელი –  
წარმომადგენელი -

მოწინააღმდეგე მხარე -  
წარმომადგენელი -

მოთხოვნა -  
მუდმივმოქმედი არბიტრაჟი შპს „  
არმქონედ ცნობა;

შორის დავის განხილვაზე  
„ კომპეტენციის

**გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :**

2023 წლის 17 მარტს წარმომადგენელმა  
განცხადებით მომართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატას და მოითხოვა და შორის დავის  
განხილვაზე მუდმივმოქმედი არბიტრაჟი შპს „  
კომპეტენციის არმქონედ ცნობა;

განმცხადებელი მიუთითებს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ იხილება საქმე სარჩელისა გამო მოპასუხეების და ნივთზე რეგისტრირებული იპოთეკის უფლების გაუქმების მოთხოვნით მიუთითებულ საქმეზე უფლებამონაცვლედ ცნობილ იქნა მოცემულ საქმეზე მოპასუხე მხარის წარმომადგენელია რომელიც აპელირებს იმის თაობაზე, რომ დავა უნდა განიხილოს საქართველოში მოქმედმა კერძო არბიტრაჟმა - შპს „  
აღნიშნული მოთხოვნა განპირობებულია იმ გარემოებით, რომ სადავო საქმეში



არსებული 2013 წლის 27 ივნისის ერთობლივი საინვესტიციო პროექტის განხორციელებისა და იპოთეკის შესახებ ხელშეკრულების 30-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, მხარეთა შორის ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული სადავო საკითხები განსახილველად და საბოლოოდ გადასაწყვეტად გადაეცემა შპს „ს

განცხადებელი მიუთითებს, რომ შპს „  
კერძო საარბიტრაჟო ცენტრს, რომელიც ავთიახებს არბიტრთა ჯგუფს, მათ შორის  
წარმომადგენელს :  
წარმომადგენს

მოცემული ფაქტი წარმოშობს ინტერესთა კონფლიქტს, ვინაიდან ერთი მხრივ  
წარმომადგენს მხარის წარმომადგელს არსებულ დავაში, ხოლო მეორე  
მხრივ არსებული დავის განსახილველად და გადასაწყვეტად მითითებულია ის  
საარბიტრაჟო ცენტრი, სადაც ერთ-ერთ არბიტრს წარმომადგენს თავად  
ა. მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა თავად  
მიერ არ მოხდეს დავის გადაწყვეტა, მაგრამ საქმეზე ობიექტური გადაწყვეტილების  
მიღება შესაძლოა მაინც საფრთხის ქვეშ დადგეს.

განცხადებაზე პოზიცია წარმოადგინა :  
მიუთითა შემდეგი: სასამართლო არ არის უფლებამოსილი დასაშვებად ცნო მხარის  
განცხადება არბიტრაჟის კომპეტენციის არქონის შესახებ მანამ, სანამ ასეთი სახის  
განცხადებაზე შესაბამის გადაწყვეტილებას არ მიიღებს ის არბიტრაჟი, რომლის  
კომპეტენციასაც არ ეთანხმება საარბიტრაჟო პროცესის მონაწილე ერთ-ერთი მხარე.  
არბიტრაჟის გადაწყვეტილების ობიექტურობასთან დაკავშირებით  
აღნიშნავს, რომ ნებისმიერი საარბიტრაჟო დაწესებულება  
ახორციელებს მხოლოდ ადმინისტრირებას და არ წარმოადგენს დავის განმხილველ  
ორგანოს და მხარეებს ეხმარება პროცესის ადმინისტრირებაში. დავას კი იხილავს  
მხარეთა მიერ არჩეული ან საარბიტრაჟო დაწესებულების მიერ დანიშნული პირი  
(არბიტრი).

**სააპელაციო პალატა გაეცნო განცხადებას, თანდართულ მასალებს და მიაჩნია, რომ განცხადება უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:**

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 356<sup>12</sup>-ე მუხლის თანახმად, არბიტრაჟთან დაკავშირებულ საქმეებს სასამართლო განიხილავს ამ კოდექსით დადგენილი წესებით. არბიტრაჟთან დაკავშირებულ საქმეებს სასამართლო განიხილავს მხოლოდ „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-12 მუხლის თანახმად, პირთა თანასწორობაზე დამყარებული კერძო ხასიათის დავა, რომლის დაწყებაც მხარეებს შეუძლიათ ერთმანეთს შორის, მხარეთა შეთანხმებით, შეიძლება განსახილველად გადაეცეს არბიტრაჟს. „არბიტრაჟის შესახებ“ კანონის მე-8 მუხლის თანახმად, „საარბიტრაჟო შეთანხმება არის შეთანხმება, რომლითაც მხარეები თანხმდებიან, განსახილველად გადასცენ არბიტრაჟს ყველა ან ზოგიერთ დავა, რომელიც წარმოიშვა ან შეიძლება წარმოიშვას მათ შორის“ ამ დეკლარაციის მიხედვით იმ



სახელშეკრულებო ან სხვა სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე. საარბიტრაჟო შეთანხმება შეიძლება დაიდოს ხელშეკრულებაში საარბიტრაჟო დათქმის ან ცალკე შეთანხმების ფორმით. საარბიტრაჟო შეთანხმება უნდა დაიდოს წერილობითი ფორმით. საარბიტრაჟო შეთანხმება ითვლება წერილობითი ფორმით დადებულად, თუ მისი შინაარსი დაფიქსირებულია ნებისმიერი ფორმით, მიუხედავად საარბიტრაჟო შეთანხმების ან ხელშეკრულების დადების ფორმისა.“ ხსენებული ნორმების შინაარსიდან გამომდინარე, პირთა თანასწორობაზე დამყარებული კერძო ხასიათის ურთიერთობიდან წარმოშობილი დავა მხარეთა შეთანხმებით შეიძლება განიხილოს იმ არბიტრაჟმა, რომელზეც შეთანხმდებიან მხარეები საარბიტრაჟო შეთანხმების დადებისას. შეთანხმებაში მითითებული უნდა იყოს კონკრეტული არბიტრაჟი, რომელიც უფლებამოსილი იქნება განიხილოს და გადაწყვიტოს დავა. ბათილია ის საარბიტრაჟო შეთანხმება, თუ მასში მითითებული არბიტრაჟი არც ერთმნიშვნელოვნად არის განსაზღვრული და არც იმგვარად არის ჩამოყალიბებული, რომ მისი შინაარსის მიხედვით შესაძლებელი იყოს განსაზღვრა, თუ რომელ კონკრეტულ არბიტრაჟს გულისხმობდნენ მხარეები.

„არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის პირველი ნაწილის თანხამად, არბიტრაჟი უფლებამოსილია მიიღოს დადგენილება საკუთარი კომპეტენციის შესახებ, საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობის თუ ნამდვილობის დადგენის ჩათვლით. ამ მიზნით საარბიტრაჟო დათქმა, რომელიც ხელშეკრულების ნაწილია, განიხილება საარბიტრაჟო შეთანხმებად, რომელიც არ არის დამოკიდებული ხელშეკრულების სხვა პირობებზე. ხელშეკრულების ბათილად ცნობა არ გამოიწვევს საარბიტრაჟო დათქმის ბათილობას.

„არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის, თანხამად საარბიტრაჟო წარმოების მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებით. თითოეულ მხარეს უნდა მიეცეს თავისი პოზიციის გამოხატვის სრული შესაძლებლობა. ხოლო, ამავე კანონის მე-6 მუხლის თანხამად, არბიტრაჟი თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს მხარეთა ან არბიტრაჟის მიერ განსაზღვრული საარბიტრაჟო განხილვის პროცედურით, ამ კანონის მოთხოვნათა დაცვით. დაუშვებელია ამ კანონით გათვალისწინებულ სამართლებრივ ურთიერთობებში სასამართლოს რაიმე სახით ჩარევა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს ამ კანონით პირდაპირ არის გათვალისწინებული.

მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ იხილება საქმე  
სარჩელისა გამო მოპასუხეების  
და  
მიმართ ნივთზე რეგისტრირებული იპოთეკის უფლების გაუქმების  
ძოთხოვნით. მითითებულ საქმეზე  
ცნობილ იქნა

მოცემულ საქმეზე მოპასუხე მხარის წარმომადგენლობას, ანორციელებს  
საქმეში არსებული 2013 წლის 27 ივნისის ერთობლივი საინვესტიციო პროექტის



განხორციელებისა და იპოთეკის შესახებ სადავო ხელშეკრულების 30-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, მხარეთა შორის ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული სადავო საკითხები განსახილველად და საბოლოოდ გადასაწყვეტად გადაეცემა შპს „

ა“. ამდენად, მხარეებს შორის სახელშეკრულებო ურთიერთობით გასაზღვრულია დავის წესი, კერძოდ დავის ურთიერთშეთანხმების გზით მოუგვარებლობის შემთხვევაში მხარეები შეთანხმდნენ, რომ ნებისმიერ დავას წარმოშობილს წინამდებარე ხელშეკრულებიდან განიხილავდა და გადაწყვეტდა მუდმივმოქმედი არბიტრაჟი შპს „

შემოადინიშნულიდან გამომდინარე, პალატა მიუთითებს, რომ მხარეები შეთანხმდნენ კონკრეტულ არბიტრაჟზე და ეს შეთანხმება მათ შორის სადავო არაა. სახეზე არ გვაქვს შემთხვევა, რომელიც გათვალისწინებულია „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის პირველი ნაწილით. განსახილველ შემთხვევაში მხარე სადავოდ ხდის არბიტრაჟის კომპეტენციას მიუკერძოებლობის სტანდარტის საფუძველით. სწორედ აქედან გამომდინარე, პალატა ვერ გაიზიარებს

არგუმენტს იმის თაობაზე, რომ არბიტრაჟის კომპეტენციის არმქონედ ცნობის შესახებ განცხადება დასაშვებად არ უნდა ცნოს სააპელაციო სასამართლომ, რადგან ჯერ ამ საკითხზე უნდა იმსჯელოს თავად არბიტრაჟმა.

ამასთან დაკავშირებით პალატა განმარტავს, რომ როდესაც მხარეთა შორის სადავო თავად საარბიტრაჟო შეთანხმება, მხარეს შეუძლია სადავოდ გახადოს არბიტრაჟის კომპეტენცია არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით დადგენილი წესით, კერძოდ, მხარემ არბიტრაჟის კომპეტენციის თაობაზე პრეტენზიით უნდა მიმართოს თავად არბიტრაჟს, რომელმაც უნდა იმსჯელოს საკითხზე და მიიღოს გადაწყვეტილება, რომელიც ნებისმიერმა მხარემ შეიძლება გაასაჩივროს სასამართლოში. რეალურად აღნიშნული წესი წარმოადგენს საქმეზე განსჯადობის დადგენის წესს. მოცემულ შემთხვევაში ასეთი ვითარება სახეზე არ არის, განმცხადებელი აპელირებს მხოლოდ იმ გარემოებაზე, რომ

წარმოადგენს მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენელს არსებულ დავაში, ხოლო არსებული დავის განსახილველად და გადასაწყვეტად მითითებული საარბიტრაჟო ცენტრში, ერთ-ერთი არბიტრი თავად ; მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა თავად ;

მხარე არ მოხდეს დავის გადაწყვეტა, მაგრამ საქმეზე ობიექტური გადაწყვეტილების მიღება შესაძლოა მაინც საფრთხის ქვეშ დადგეს. ამდენად, განმცხადებელი ეჭვქვეშ აყენებს არა საარბიტრაჟო შეთანხმების ნამდვილობას, არამედ არბიტრაჟში საქმის განხილვის ობიექტურობას.

სააპელაციო პალატა განმარტავს, რომ საქმის დამოუკიდებლად და მიუკერძოებლად განხილვაში იგულისხმება არა მხოლოდ მისი დამოუკიდებლად და მიუკერძოებლად განხილვა, არამედ აღქმა იმისა (საზოგადოების, განსაკუთრებით მხარეთა შორის), რომ საქმეს არბიტრი განიხილავს დამოუკიდებლად და მიუკერძოებლად.

სასამართლო მიუთითებს, რომ მოვლენათა გარეგნულად გამოჩენის ფორმას - აღქმას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ვინაიდან ამ დროს სასჯელზე დევს მსჯელობა, რომელსაც არბიტრაჟები ნერგავენ დემოკრატიულ საზოგადოებაში. არბიტრაჟი ვერ



შეასრულებს მასზე დაკისრებულ ფუნქციას საზოგადოებაში ნდობის გარეშე, ვინაიდან სწორედ ნდობაა არბიტრის ლეგიტიმურობის საფუძველი და მისი უფლებამოსილების წყარო.

დემოკრატიულ საზოგადოებაში მნიშვნელოვანია საარბიტრაჟო განხილვის მთავარი პრინციპები - პროცესის ეკონომიურობა, დავათა გადაწყვეტის სისწრაფე, არბიტრების მიმართ მეტი ნდობა მათი კვალიფიკაციისა და დამოუკიდებლობის გათვალისწინებით. მნიშვნელოვანია, რომ არბიტრაჟი იწვევდეს საზოგადოებაში ნდობას. შესაბამისად, ნებისმიერი წინაღობა, თუ ეჭვი რომელიც საფრთხეს უქმნის მის მიმართ ნდობას და რწმენას, თავიდან უნდა იქნეს აცილებული.

მოცემულ შემთხვევაში, მართალია მხარეთა შორის არსებობს შეთანხმება დავის წარმოშობის შემთხვევაში კონკრეტულ არბიტრაჟში საქმის განხილვაზე, თუმცა პალატა იზიარებს რა განმცხადებლის მითითებას, მიიჩნევს, რომ ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებები კუმულატიურად ქმნის საფუძვლიან ეჭვს და ალბათობას იმისა, რომ გადაწყვეტილების მიღებისას არბიტრზე შეიძლება ზეგავლენა მოახდინოს ამ ფაქტორებმა, ვინაიდან არსებობს ინტერესთა კონფლიქტი საარბიტრაჟო განხილვის პროცესში. ამასთან, აღსანიშნავია, რომ არბიტრაჟის არაკომპეტენტურად ცნობის შემთხვევაში მხარეებს არ ერთმევათ სამართლიანი განხილვის უფლება და მათი ეს უფლება უფრო ფართო ჭრილით შესაძლებელია რეალიზებულ იქნეს სასამართლო განხილვის წესით.

აღნიშნულიდან გამომდინარე პალატა თვლის, რომ განმცხადებლის პრეტენზია დასაბუთებელია, უნდა დაკმაყოფილდეს და შპს „  
და შორის დავის განხილვაზე ცნობილ უნდა იქნეს კომპეტენციის არმქონედ.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 356<sup>16</sup>-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ სასამართლო არბიტრაჟს მოცემულ საკითხზე არ ცნობს კომპეტენტურად, განჩინებაში უნდა მიეთითოს შესაბამისი კომპეტენტური ორგანო.

სააკველაციო პალატა მიუთითებს, რომ წინამდებარე დავა მხარეებს შორის განხილული უნდა იქნეს სასამართლო წარმოების წესით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 356<sup>16</sup>-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასამართლოს განჩინება არბიტრაჟის კომპეტენციის შესახებ საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სამოქალაქო საქმეთა პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-12, 356<sup>12</sup>-ე, 356<sup>13</sup>-ე, 356<sup>16</sup>-ე მუხლებით, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3, მე-6 მუხლებით და

**და ა დ გ ი ნ ა:**

1.

წარმომადგენლის

განცხადება



დაკმაყოფილდეს;

2. მუდმივმოქმედი არბიტრაჟი შპს „*საინვესტიციო პროექტის განხორციელებისა და იპოთეკის შესახებ სადავო ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავის განხილვაზე ცნობილ იქნეს კომპეტენციის არმქონედ.*“  
შორის 2013 წლის 27 ივნისის ერთობლივი

3. განჩინება არ გასაჩივრდება.

თავმჯდომარე

ანა გოგიშვილი

მოსამართლეები:

გელა ბადრიაშვილი

ეკატერინე ცისკარიძე



27 09 13